ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მაჟორიტარი წევრის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ფრაქცია ქართული
ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრის,
განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის

ზურაბ ჩიკვილაძის

2023-2024 წლის ანგარიში

წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ, 2021 წლის დეკემბრიდან ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-7 მოწვევის მაჟორიტარი წევრი (ჩუღურეთის რაიონი), ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრი, განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

მოგახსნებთ, რომ 2023 წლის ნოემბრიდან დღემდე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 13 კომისიის სხდომის ჩატარებას. კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 23 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში შემოვიდა 50 განცხადება/წერილი, რომელზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება. მოქალაქეთა მიღებაზე გამოცხადებულ მოქალაქეებს გაეწიათ შესაბამისი დახმარება ან ზეპირი/წერილობითი კონსულტაცია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ მონახაზს იმ საკითხებზე, რომლებზეც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა და გასცა რეკომენდაციები.

დედაქალაქის მასშტაბით ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მიმართულებით თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება 38 პროგრამა/ქვეპროგრამა. არსებული მუნიციპალური პროგრამები მზარდი ბიუჯეტით მოქალაქეებზეა მორგებული. თბილისის მერიის და საკრებულოს გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს გატარებულმა სიახლეებმა ჩვენი თანამოქალაქეები და მათი ოჯახები მნიშვნელოვანი ფინანსური ტვირთისგან გაათავისუფლა. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით გრძელდება იმ პროგრამების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნებიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობით და გარანტირებული სოციალური დახმარებით. მათ შორის: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და დახმარება, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და სხვა მოსახლეობისათვის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებების მხარდაჭერა. მათ შორის: მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის თანადაფინანსება. მოქალაქეებზე სოციალური დახმარებები და სხვადასხვა შეღავათები და ა.შ.

შესწავლილი საკითხები:

2023 წლის 17 ნოემბერი

თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის წლის ბიუჯეტის შესახებ“ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტზე ვიმსჯელეთ, რომლის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 700,912.4 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 632,132.6 ათასი ლარი) მიმართებაში გაიზარდა 68,779.8 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებით, დედაქალაქის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი, ქალაქ თბილისის მერს რეკომენდაციით დაუბრუნდება.

აქვე განვიხილეთ, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები.რომელიც მოიცავს: სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების ქვეპროგრამის წესის ცვლილებას, რაც განაპირობა ქვეპროგრამის ფარგლებში ელექტრონული მოდულის დანერგვამ, კერძოდ, მიმართვების ადმინისტრირების ელექტრონულ მოდულზე გადასვლით, გაჩნდა საჭიროება დაზუსტებულიყო ქვეპროგრამის მოსარგებლეების კრიტერიუმები, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა, მიმწოდებელთან ანგარიშგება და ანაზღაურება, გაიწერა მოთხოვნის განხილვისა და დაფინანსების პროცედურები, კონტროლის განხორციელება და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება.

2023 წლის 13 დეკემბერი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ 2024 წლის ბიუჯეტი წარადგინა, რომლის თანახმად დედაქალაქის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა 1 708 254 700 ლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში 131 122 100 ლარით არის გაზრდილი.
ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 920 100 ლარი; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 567 498 100 ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 267 969 400 ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 221 611 100 ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2 153 500 ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 796 300 ლარი; განათლება - 248 047 100 ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35 534,7

ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 7 297 000 ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 920 100 ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში 10 759 400 ლარით არის გაზრდილი.

პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 32 783 000 ლარი. გრძელდება გადამდებ და არაგადამდებ ეპიდემიოლოგიური კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, სახსრების ენდოპროტეზირების, დაავადებათა სკრინინგის და ტრანსპლანტაციის დაფინანსება.

სოციალური დაცვის პროგრამისთვის ჯამში გათვალისწინებულია 122 237 100 ლარი. გრძელდება შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება: კომუნალური სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შინმოვლის თანადაფინანსება, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში და სხვა.

კომისიის სხდომაზე, ასევე განვიხილეთ საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები. ცვლილება „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ შევიდა, რომლის მიხედვითაც, განსაკუთრებულ შემთხვევაში, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, უფლებამოსილი იქნება თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიმწოდებლად ჩართვის ნება მისცეს დაწესებულებას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ისეთ სავალდებულო კრიტერიუმებს, როგორებიცაა ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა მომსახურების განხორციელების სულ მცირე 1 წლიანი გამოცდილების ქონა და 1 წლის განმავლობაში აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე სულ მცირე 20 ბავშვისათვის მომსახურების უწყვეტად მიწოდება.

აღნიშნული ცვლილება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი მრავალპროფილური დაწესებულების „ბავშვის განვითარების ინსტიტუტის“ ფუნქციონირების შეწყვეტამ გამოიწვია. უნივერსიტეტის დაკვეთით მომზადებული დასკვნის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის C კორპუსი ავარიულია. ყოველივემ აღნიშნული დაწესებულების ბენეფიციარებისთვის ალტერნატიული ფართის შეთავაზების საჭიროება წარმოშვა, რათა ქვეპროგრამის განხორციელების პროცესი არ შეფერხებულიყო და ბენეფიციართა უფლებები არ შეზღუდულიყო.

მიღებული ცვლილების შედეგად, ქვეპროგრამის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვის განვითარების ინსტიტუტის“ ბენეფიციარებს „ევექსის“ ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრი „კარავი“ ემსახურება.

ცენტრის პერსონალი დაკომპლექტებულია ყოფილი „ბავშვის განვითარების ინსტიტუტის“ პროფესიონალი თერაპევტებით, რომელთაც აქვთ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა მომსახურების განხორციელების შესაბამისი გამოცდილება.

2023 წლის 28 დეკემბერი

საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში შესატანი ცვლილებები განვიხილეთ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თანახმად, დამტკიცდა ქვემოთ ჩამოთვლილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესები: „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“; „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“; „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“; „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“; „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“; „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“; „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“; „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი.

ცვლილება შედის „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში“. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს ამ წესით დადგენილი ტარიფების ფარგლებში შემდეგი მედიკამენტების დაფინანსების უზრუნველყოფას: ტრასტუზუმაბი, პერტუზუმაბი, ფესგო და ლაპატინები. ძველი წესის თანახმად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებოდათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს, ამ წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით უფინანსდებოდათ, ხოლო წესის თანახმად ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოსარგებლეებს, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა, მედიკამენტი დაუფინანსდებათ სრულად.

ცვლილება შევიდა „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში“. ახალი წესის თანხმად, მოიხსნა იმუნომამოდიფიცირებელი პრეპარატების გამოყენების ასაკობრივი ზღვრები.

ასევე, ცვლილება შევიდა „დაავადებათა სკრინინგის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესში. აქვე, განვიხილეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესები: „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი,“ „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების“ და „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, „უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესი“, „შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ ი) „მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.

2024 წლის 23 იანვარი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე „თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების თაობაზე ვიმსჯელეთ. ცვლილების თანახმად წესში გაჩნდა დამატებითი ჩანაწერი დევნილის/ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებთან დაკავშირებით. კერძოდ, ცვლილების მიხედვით, წესი არ გავრცელდება დევნილის/ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებზე/ოჯახებზე მაშინაც კი, თუ ოჯახის ერთ წევრს მაინც აქვს მინიჭებული აქვს დევნილის სტატუსი. დევნილთა საცხოვრებელ ფართებთან დაკავშირებული უფლებების დაცვა, მათ შორის, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პირობები, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით არის განსაზღვრული, რაც ასეთ პირებსა და მათ ოჯახის წევრებზე, თბილისის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის გავრცელებას გამორიცხავს. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე ამავე წესში შესატანი კიდევ რამდენიმე დამატებითი ცვლილება განვიხილეთ, რომელიც ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის მართვის სამოქმედო ინსტრუქციით გათვალისწინებულ პირობებსა და ორ სულიანი ოჯახებისთვის უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭებას ეხებოდა.

2024 წლის 20 თებერვალი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ვიმსჯელეთ. დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში შევიდა. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში, თვეში ფინანსდებოდა 1850 ბენეფიციარი, ხოლო წარმოდგენილი პროექტით, აღნიშნული ლიმიტი 250 ერთეულით გაიზრდა. შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში 1 მარტიდან 2100 ბენეფიციარი დაფინანსდა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე თბილისის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებაც ვიმსჯელეთ. თბილისის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა 2024 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, გაიზარდა სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციები - 10 000,0 ათასი ლარით და შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის - 16 000,0 ათასი ლარით და სხვა.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა გაიზრდა სულ 241 034,9 ათასი ლარით და შეადგინა 2 004 389,6 ათას ლარი.

2024 წლის 22 მარტი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები განვიხილეთ.

პროექტის თანახმად, ცვლილება შევიდა „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესსა“ და „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“. კერძოდ, ცვლილებით, დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამაში, დაზუსტდა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგით მოსარგებლეთა ასაკობრივი კატეგორიები და დამატებით დაინერგა HPV დნმ-ის განსაზღვრის ტესტის ჩატარების მეთოდი. რაც შეეხება ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამას, მასში ტექნიკური ხასიათის ხარვეზი გასწორდა.

2024 წლის 23 აპრილი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების თაობაზე ვიმსჯელეთ.

პროექტის თანახმად, ცვლილება შევიდა „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“. დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამაში, დაზუსტდა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგით მოსარგებლეთა ასაკობრივი კატეგორიები და კვლევა, რომელიც ბეტესტას მეთოდით პაპ-ტესტის მეშვეობით ხორციელდება 30 წლამდე ასაკის ქალებზე გავრცელდება. რაც შეეხება 30 წელს ზემოთ ქალებს, მათ აღნიშნული კვლევის ჩატარება, როგორც ბეტესტას მეთოდით პაპ-ტესტის, ასევე HPV დნმ-ის განსაზღვრის ტესტის ჩატარების მეთოდით შეუძლიათ.

2024 წლის 24 მაისი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ თბილისის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ვიმსჯელეთ. თავშესაფრის ფარგლებში დაკომპლექტდა არანაკლებ სამ კაციანი გუნდი (რომლის შემადგენლობაშიც შესაძლოა შედიოდეს: მამასახლისი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი). გუნდის შემადგენლობას თავშესაფრის დირექტორი ბრძანებით ამტკიცებს და მის მოვალეობას „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ მართვაში არსებული სოციალური საცხოვრისის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების ცხოვრების ფაქტის დადასტურება წარმოადგენს.

2024 წლის 14 ივნისი

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ვიმსჯელეთ. წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, ტერმინთა განმარტებების მეტად გასაგებად ჩამოყალიბება, ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმების დაზუსტება, განცხადების განხილვისა და დაფინანსების პროცედურებში მეტი სიცხადის შეტანა, შემთხვევათა ელექტრონული რეესტრის ფორმირებისა და წარმოების სამართლებრივი მოწესრიგება.

2024 წლის 12 ივლისი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე „თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ვიმსჯელეთ, წესში ცვლილებების შეტანის მიზანი ქვეპროგრამით მოსარგებლეთათვის, უახლესი გაიდლაინებით დადგენილი ოდენობების გათვალისწინებით მედიკამენტების მიწოდებაა.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის" ქვეპროგრამით მოსარგებლეთათვის, ინფუზიების რაოდენობა გაიზარდა. პაციენტის წონის მიუხედავად, მედიკამენტები „პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი", მოსარგებლეებს უფინანსდებოდათ მაქსიმუმ 14 ინფუზიის მოცულობით, ხოლო მედიკამენტი „ფესგო" მოსარგებლეებს უფინანსდებოდათ მაქსიმუმ 14 ინფუზიის მოცულობით. ამჟამად ორივე შემთხვევაში, მოცემული ინფუზიების დოზა - გაიზარდა 18-მდე, ვინაიდან, კიბოს ნაციონალური ყოვლისმომცველი ქსელი (NCCN) - PMC - NCBI -ის 2024 წლის გაიდალაინის მიხედვით, ადრეული ძუძუს კიბოს მკურნალობისას პერჯეტა + ჰერცეპტინის (ფესგოს) სტანდარტი წარმოადგენს 21 დღიანი ციკლებით მკურნალობას 1 წლის განმავლობაში, რაც შეადგენს 18 ციკლს/ინფუზიას. შესაბამისად, ქვეპროგრამის მოსარგებლეებს, შესაძლებლობა აქვთ უახლესი გაიდლაინებით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად მიიღონ 18 ინფუზია.

2024 წლის 16 აგვისტო

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ვიმსჯელეთ. პროექტის თანახმად, ცვლილება „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში" შევიდა. ცვლილებები საქართველოში, ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის პროგრამის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ პროცესებში ძვლის ტვინის დონორთა მსოფლიო ორგანიზაციასთან (WMDA) თანამშრომლობამ და მათმა მხარდაჭერამ განაპირობა. დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებებით მომავალში ასეთი რეესტრის არსებობა პაციენტებს მისცემს საშუალებას ქვეყნიდან გაუსვლელად მიიღონ ყველა სამედიცინო მომსახურება ონკოლოგიური და ონკო-ჰემატოლოგიური დაავადებების მართვაში, დაიზოგება საბიუჯეტო თანხების გადინება ქვეყნის გარეთ.

2024 წლის 13 სექტემბერი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ვიმსჯელეთ. ცვლილებების მიზანი იყო, უსახლკარო სტატუსის მქონე ოჯახების მიერ ფართის მოძიების პროცედურებისა და ვადების უკეთესად გამოკვეთა, გამგეობების მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა დაზუსტება და წესის ისე ჩამოყალიბება, რომ რაც შეიძლება მოქნილი იყოს, როგორც განმცხადებლის, ასევე სამსახურისთვის, სამუშაო პროცესში. წესში განხორციელდა როგორც რედაქციული ასევე შინაარსობრივი ცვლილებები,

2024 წლის 4 ოქტომბერი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ანგარიში წარადგინა. მან, ანგარიშის წარდგენისას, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მიმართულებით მოქმედ მუნიციპალურ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე ისაუბრა.

სხვა აქტივობები

2023 წლის 3 ნოემბერი

საკრებულოსა და „ლაიონსების თვალის დიაბეტურ კლინიკა - საქართველოს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

მემპრანდუმის თანახმად, თბილისის საკრებულო და „ლაიონსების თვალის დიაბეტური კლინიკა - საქართველო“ შეთანხმდნენ ითანამშრომლონ და დაგეგმონ სხვადასხვა სამედიცინო ღონისძიება პირველადი სრული ოფთალმოლოგიური გამოკვლევების ფარგლებში. ასევე, შეთანხმდნენ ითანამშროლონ თბილისის საკრებულოს თანამშრომლების, მოქალაქეებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მხედველობის პრობლემების იდენტიფიცირების მათი გადაჭრისა და მკურნალობის მიმართულებით.

2023 წლის 5 დეკემბერი

ვიზიტი ევექსის ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრი "კარავი"-ში

თბილისის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსთან გელა ჩივიაშვილთან ერთად, ევექსის ახალი ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრის "კარავი" გახსნის ღონისძიებას დავესწრით. ევექსის ახალი ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრი "კარავი" თბილისის მერიის "აუტიზმის სპექტრის დარღვევის

მქონე ბავშვთა აბილიტაციის" პროგრამაში ჩაერთო და პროგრამის მოსარგებლე ბავშვებს და მოზარდებს აწვდის საჭირო სერვისებს.

2024 წლის 27 იანვარი

ვიზიტი თოდუას კლინიკაში

კლინიკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი წივწივაძემ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი, მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი დაგვათვალიერებინა, სადაც პაციენტები მათთვის საჭირო, მაღალი ხარისხის სერვისებს იღებენ. კლინიკის დირექტორმა აქცენტი გააკეთა ონკო პაციენტებში პოზიტიურ ემისიურ ტომოგრაფიულ კვლევაზე, რომელიც ოქროს სტანდარტია, ასევე ონკოლოგიური პაციენტების სკრინინგის მნიშვნელობასა და დანერგილ სიახლეებზე.

2024 წლის 6 თებერვალი

კიბოს მსოფლიო დღე

თბილისის საკრებულოში კიბოს მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა, ღონისძიება კამპანიის „სრულფასოვანი მკურნალობა - უწყვეტი ზრუნვა“ ფარგლებში მოეწყო, მისი მიზანია საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ონკოლოგიურ სერვისებზე თანაბარი და სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ღონისძიება კავკასიის ონკოსაზოგადოება H.O.P.E-ისა და პაციენტთა ორგანიზაციის „ევროპა დონა საქართველო“ ეგიდით და თბილისის საკრებულოს მხარდაჭერითა და ჩართულობით გაიმართა.შეხვედრის მიზანი იყო „ევროპა დონა საქართველოს“ მხრიდან მადლიერების გამოხატვა ყველა იმ სახელმწიფო უწყების, ორგანიზაციის, ბიზნესკომპანიისა და მედიასაშუალების მიმართ, რომელთა თანადგომამ ყველა მოქალაქისთვის ონკოლოგიურ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სრულფასოვანი მკურნალობა შესაძლებელი გახადა.

2024 წლის 5 მარტი

ვიზიტი გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტში

ელიავას ინსტიტუტის დირექტორმა, დოქტორმა მზია ქუთათელაძემ ისაუბრა ელიავას ინსტიტუტის, საქმიანობის, პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. შეხვედრის დროს დავათვალიერეთ ინსტიტუტის სამეცნიერო და სასწავლო ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და

მუზეუმი, ასევე ელიავას ფაგოთერაპიის ცენტრი. ინსტიტუტში ამჟამად ხორციელდება მრავალი საერთაშორისო პროექტი, ფუნქციონირებს შვიდი სამეცნიერო ლაბორატორია. ერთსა და იმავე ტერიტორიაზე თავმოყრილია ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური ცენტრი, ფაგური პრეპარატების წარმოება, ფაგოთერაპიის ცენტრი - სამკურნალო დაწესებულება და აფთიაქი, ეს ორგანიზაციები უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის, ეფექტურ, ფაგზე - დაფუძნებული პროდუქტებისა და სერვისების მიწოდებას.

2024 წლის 11 მარტი

სამუშაო შეხვედრა „მედიქანა საქართველოს" რეგიონალურ პარტნიორებთან

შეხვედრა გამართა „მედიქანა საქართველოს“ რეგიონალურ პარტნიორებთან. შეხვედრაზე მსოფლიოში მედიქანა ჯგუფის ფუნქციონირების შესახებ ისაუბრეს.
სტუმრებს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის სპეციფიკა გავაცანი და იმ მუნიციპალურ პროგრამებზე ვისაუბრეთ, რომელთაც თბილისის მერია ახორციელებს. ხარისხიანი სამედიცინო სერვისების განვითარება ჩვენი ჯანდაცვის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. არსებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია ნებისმიერი პირისთვის. მზაობა გამოვთქვით ერთობლივი პროექტების განხილვისთვის და შემდგომში მათი განხორციელებისთვის.

2024 წლის 20 მარტი

ვიზიტი ამერიკულ ჰოსპიტალში

ქალაქ პრაღის მეექვსე ოლქის მერთან იაკუბ სტარეკთან, მის მოადგილეებთან, მარიამ ჰოშეკთან, მარიანა ჩაპკოვასთან და ვაკის რაიონის გამგებელთან, დავით კვინიკაძესთან ერთად ამერიკულ ჰოსპიტალს ვეწვიეთ.
სტუმრებმა, რომლებსაც ჰოსპიტლის სამედიცინო დირექტორმა ირაკლი გოგოხიამ უმასპინძლა, კლინიკა დაათვალიერეს.. ხარისხიანი სამედიცინო სერვისების მქონე მრავალპროფილური, მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებული კლინიკების არსებობა ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობის და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ჯანდაცვის მიმართულებით არსებული მუნიციპალური პროგრამები მზარდი ბიუჯეტით მოქალაქეებზეა მორგებული.

2024 წლის 21 მარტი

ვიზიტი დღის ცენტრში "მშობელთა ხიდი"

ქალაქ პრაღის მეექვსე ოლქის მერთან, იაკუბ სტარეკთან, მის მოადგილეებთან- მარიამ ჰოშეკთან, მარიანა ჩაპკოვასთან, ასევე ვაკის რაიონის გამგებელთან, დავით კვინიკაძესთან და ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან, დავით მაქაცარიასთან ერთად ა(ა)იპ "მშობელთა ხიდს" ვეწვიე.

ა(ა)იპ „მშობელთა ხიდის" მიზანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საზოგადოებაში ინკლუზიისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენაა. ვისაუბრეთ მუსიკალური და მუსთერაპიული მეთოდების გამოყენების მხრივ ორგანიზაციის გამოცდილების თაობაზე, სწორედ ამ სფეროში წარმატებული მუშაობის შედეგად შეიქმნა და ეფექტიანად ფუნქციონირებს „პარაორკესტრი" და „მუსთერაპიული ცენტრი".

დასასრულს, მომსახურების მიმღებმა ბავშვებმა სტუმრებს საჩუქრად საკუთარი ნახატები აჩუქეს, რის შემდეგაც პარაორკესტრის წევრების მიერ გამართულ კონცერტს დავესწრით.

2024 წლის 22 მარტი

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სააქციო საზოგადოება „მედიკანა ჰოსპიტალ მენეჯმენტის წარმომადგენლობა საქართველოში" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ხელმოწერის ცერემონიალი დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გაიმართა. მემორანდუმის თანახმად, თბილისის საკრებულო და სს „მედიკანა ჰოსპიტალ მენეჯმენტის წარმომადგენლობა საქართველოში" თანხმდებიან ითანამშრომლონ საკრებულოს ყველა

წარმომადგენელთან სამედიცინო სერვისების სპეციალური პირობებით მიწოდების, კონსულტაციების გაწევის, მათ შორის, ონლაინ ფორმით და ვიზიტის დაგეგმვის მიმართულებით "მედიკანა"-ს ჰოსპიტლების ქსელში.

2024 წლის 26 მარტი

სამუშაო შეხვედრა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) მისიის ხელმძღვანელთან თუბა ოზუთოქთან და კოორდინატორის მოადგილესთან მუჰამმედ ემრე ეზბერთან

ვისაუბრეთ ურთიერთანამშრომლობაზე, ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე და ამ პროექტების სამომავლო გზებზე. ასევე დაიგეგმა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა ფორმატში.

2024 წლის 2 აპრილი

აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე

ამ დღესთან დაკავშირებით თბილისის ევექსის ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრ „კარავს“ ვესტუმრეთ. დავათვალიერეთ ცენტრის ინფრასტრუქტურა და იმ სერვისებზე, ვიაუბრეთ რომლებსაც ბენეფიციარები იღებენ, კარავი“ ერთ-ერთი გამორჩეული ნეიროგანვითარების ცენტრია, სადაც ჩვენი პატარები შესაბამის თერაპიულ სეანსებს იღებენ. „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“ პროგრამა, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტმა დაიწყო, წარმატებით მიმდინარეობს და ბენეფიციარები მათ მოთხოვნებზე მორგებულ სერვისს იღებენ.

2024 წლის 5 აპრილი

ვიზიტი ეროვნული სკრინინგ ცენტრის დიდუბის ფილიალში

კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდა და ცნობიერების ამაღლება უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. ადრეული დიაგნოსტიკა, სკრინინგი საუკეთესო პრევენცია და ჯანმრთელი ცხოვრების წინაპირობაა.
თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) მისიის ხელმძღვანელთან თუბა ოზუთოქთან ეროვნული სკრინინგ ცენტრის დიდუბის ფილიალს ვეწვიეთ. სადაც სკრინინგ ცენტრის დირექტორმა, ეთერ კიღურაძემ არსებული გარემო დაგვათვალიერებინა, გავეცანით ცენტრის სამუშაო პროცესს. დირექტორმა სკრინინგ ცენტრის საქმიანობის და პროგრამების შესახებ დეტალურად ისაუბრა და აღნიშნა, რომ ძირითადი მიზანი დაავადებათა დროული დიაგნოსტიკაა. ასევე, ვისაუბრეთ ურთიერთ თანამშრომლობაზე და სამომავლო გეგმებზე.

2024 წლის 20 აპრილი

სამუშაო ვიზიტი შვედეთის სამეფოში

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ტყემალაძესთან, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილესთან გიორგი ახვლედიანთან და საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარესთან ნინო ვარდოსანიძესთან ერთად ვიზიტით შვედეთის სამეფოში ვიმყოფებოდით.

შვედეთის დედაქალაქის, სტოკჰოლმის, მუნიციპალიტეტის საბჭოს თავმჯდომარეს, ოლლე ბურელს, შევხვდით. შეხვედრისას მხარეებმა საქართველო-შვედეთის წარმომადგენლობით ორგანოებს შორის არსებული ურთიერთობების დინამიკა დადებითად შეაფასეს და თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლისთვის მზაობა გამოთქვეს. საუბრისას განვიხილეთ ისეთი თემები, როგორებიც არის - საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში თბილისის საკრებულოს ხედვები, განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები, ქალაქების დაგეგმარებისა და მართვის შვედური მოდელი.
ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გავმართეთ ასევე შვედეთის პარლამენტში საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელთან, გუდრუნ ბრუნეგორდთან და მეგობრობის ჯგუფის წევრებთან - შვედეთის როგორც მმართველი კოალიციის, ისე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან.

2024 წლის 1 ივნისი

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩთან, ალი ქაან ორბაითან და თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) თბილისის ოფისის კოორდინატორთან, თუბა ოზუთოქთან, ერთად დღის ცენტრ „მშობელთა ხიდს“ ვეწვიეთ.



თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო (TIKA) ბევრ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი პროექტი განახორციელა. ჩვენი პატარებისა და მოზრდილებისთვის გაიხსნა მუსიკალური ცენტრი თავისი აღჭურვილობით, რომელიც „მშობელთა ხიდს“ გადმოეცა. ცენტრის ბაზაზე მოქმედი ამიერკავკასიაში არსებული ერთადერთი პარაორკესტრის წევრებს უკვე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მუსიკალურ-თერაპიული ოთახით სარგებლობის საშუალება აქვთ.
სტუმრებს პარაორკესტრის წევრებმა მუსიკალური ნომრებისგან შემდგარი პროგრამა წარუდგინეს და საკუთარი ხელით შექმნილი ნამუშევრებიც დაათვალიერებინეს.

2024 წლის 7 ივნისი

თბილისის საკრებულოს და „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ხელმოწერის ცერემონიალი დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გაიმართა. მემორანდუმის თანახმად, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო და სამედიცინო დაწესებულება შეთანხმდნენ ერთობლივი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით ითანამშრომლონ.

2024 წლის 12 ივნისი

თბილისის საკრებულოს დელეგაციამ სტამბულში სამედიცინო მიმართულებით შეხვედრები გამართა

დედაქალაქის საკრებულოსა და „მედიკანა ჯანდაცვის ჯგუფს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში თბილისის საკრებულოს დელეგაცია სტამბულს ვეწვიეთ.

შემდგომი ურთიერთთანამშრომლობისა და მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით საქმიანი მოლაპარაკებები და შეხვედრები გაიმართა ,,მედიკანა ჯანდაცვის ჯგუფის“ დამფუძნე ბელსა და საბჭოს წევრთან, ბერქ ბოზკურტთან, საერთაშორისო დეპარტამენტის დირექტორ ბუ

რაქ ქოსესთან, აგრეთვე საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელ მეჰმეტ ფათიჰ თურან თან. ვიზიტის ფარგლებში შევხვდით „მედიკანა ათაქოის“ გენერალურ დირექტორს, ერდალ იბანოღლუსაც, და კლინიკები „ზინჯირლი ქუიო“ და „მედიკ ანა ათაქოისი“ მოვინახულეთ. ასევე, ვეწვიეთ ფენერბახჩეს უნივერსიტეტსაც, სადაც ფენერბახჩეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შევხვდით.

2024 წლის 24 ივნისი

ვიზიტი თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარში

თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) თბილისის ოფისის კოორდინატორთან, თუბა ოზუთოქთან და კოორდინატორის მოადგილესთან მუჰამმედ ემრე ეზბერთან ერთად ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს“ ვეეწვიეთ. „თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს თბილისის ოფისი, ჩვენი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პარტნიორია, რომელმაც საქართველოში ბევრი მნიშვნელოვანი სოციალური პროექტი უკვე განახორციელა.
თავშესაფარში ყოფნისას საკრებულოს წევრებთან და უცხოელ პარტნიორებთან ერთად, თავშესაფრის ხელმძღვანელობასთან ბენეფიციართა ყოფის გაუმჯობესებისთვის საჭირო პროექტების განხორციელებასა და ამ მიმართულებით, საერთაშორისო რესურსების გამოყენების შესახებ ვიმსჯელეთ, ასევე ერთობლივი პროექტების განხორციელების გზებზე შევთანხმდით.

2024 წლის 25 ივნისი

ვიზიტი ლაიონსების თვალის დიაბეტურ კლინიკაში

ვიზიტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და „ლაიონსების თვალის დიაბეტურ კლინიკას” შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში „ლაიონსების თვალის დიაბეტურ კლინიკას” ვეწვიეთ.

სადაც კლინიკის თანადამფუძნებელმა და დირექტორმა ნინო კარანაძემ გვიმასპინძლა და არსებული გარემო დაგვათვალიერებინა.

2024 წლის 28 ივნისი

შეხვდი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და სამაჟორიტარო წარმომადგენლობების თანამშრომლებს. შეხვედრის ფარგლებში დამსწრე საზოგადოებას სახელმწიფოსა და თვითმართველობაში არსებულ ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე, ქვეპროგრამებზე ვესაუბრე.

2024 წლის 26 ივლისი

სამუშაო ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილესთან გიორგი ახვლედიანთან ერთად სამუშაო ვიზიტით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ქალაქ ცინდაოში ვიმყოფებოდი.
ვიზიტის ფარგლებში ქალაქ ცინდაოს სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა კანცელარიის უფროსს, ფან ციჩჟის, შევხვდით. ასევე შეხვედრა გაიმართა ქალაქ ცინდაოს მერის მოადგილესთან, ქალბატონ ჩჟან ჰოისთან. სადაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოვაწერეთ ხელი და წლის ბოლოსთვის თბილისში ცინდაოს მერის მოადგილის საპასუხო ვიზიტზე შევთანხმდით.
გავეცანით ქალაქ ცინდაოს მერიის მუშაობის სპეციფიკას და მასპინძლებს თბილისის საკრებულოს ფუნქციების და უფლებამოსილების შესახებ ვესაუბრეთ, ასევე თვითმმართველობის რეფორმის თაობაზე მივაწოდეთ ინფორმაცია.
ასევე, შეხვედრა გაიმართა, ქალაქ ცინდაოს ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, ლუი ფუცზესთან, ქალაქ ცინდაოს ცენტრალური მუნიციპალური საავადმყოფოს გენერალურ დირექტორთან, იუი ტენბოსთა, ვისაუბრეთ ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების მნიშვნელობაზე. დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს შუამდგომლობით, ღუდუშაურის კლინიკასა და ცინდაოს ცენტრალურ მუნიციპალურ საავადმყოფოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი.

ვესტუმრეთ ქალაქ ცინდაოში კომპანია Hisense-ის მთავარ ოფისსაც. როგორც მასპინძლებმა განმარტეს, Hisense-ი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ჩინური კომპანიაა ელექტრონიკის სფეროში.

2024 წლის 4 სექტემბერი

სამუშაო შეხვედრა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) თბილისის ოფისის კოორდინატორთან+3

თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) თბილისის ოფისის კოორდინატორს, თუბა ოზუთოქს, საქართველოში დიპლომატიური მივლინების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გავმართე.

მადლობა გადავუხადე თუბა ოზუთოქს საინტერესო თანამშრომლობისა და მრავალი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისათვის. თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს თბილისის ოფისი ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პარტნიორია, რომელმაც საქართველოში მრავალი მნიშვნელოვანი სოციალური პროექტი განახორციელა. თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო საქართველოში 1994 წლიდან საქმიანობს და დღემდე ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ადმინისტრაციული და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მიმართულებით 700-ზე მეტი პროექტი აქვს განხორციელებული, რომელთა უმეტესობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თანადგომიდან და საჭიროებიდან გამომდინარე მათ დახმარებას ეხებოდა.
თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) თბილისის ოფისი საქართველოში საქმიანობას აგრძელებს.

2024 წლის 4 სექტემბერი

სამუშაო შეხვედრა „მედიქანა საქართველოს“ რეგიონალურ პარტნიორთან მეჰმეტ ფატიჰ თურანთან.

სამუშაო შეხვედრა გავმამრთე „მედიქანა საქართველოს“ რეგიონალურ პარტნიორთან მეჰმეტ ფატიჰ თურანთან. სადაც ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე, ახალ პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე ვისაუბრეთ.

2024 წლის 26 სექტემბერი

შეხვედრა ბავშვთა განვითარების ცენტრის “ჰარმონიას” ხელმძღვანელ პირებთან და მშობლ;ებთან.

საკრებულოს წევრ ვლადიმერ ბოჟაძესთან ერთად მქონდა ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა ბავშვთა განვითარების ცენტრის “ჰარმონიას” ხელმძღვანელ პირებთან.
შეხვედრას ესწრებოდნენ სხვადასხვა პროგრამით მოსარგებლე ბავშვების მშობლები, განვიხილეთ ქალაქში მოქმედი პროგრამები ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით. შეხვედრის სამუშაო ფორმატში ვისაუბრეთ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

2024 წლის 6 ოქტომბერი

თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით ქალაქ სამსუნის დელეგაციას ვუმასპინძლე.
შეხვედრას ესწრებოდნენ სამსუნის საქალაქო მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზეკერია ოზკანი, სამსუნის საკრებულოს წევრი უსტაფა ბოიაჩი, ასევე ტურიზმის მენეჯერი მუსტაფა იავუზი და „მედიკანა ჯანდაცვის ჯგუფის“ საქართველოს პარტნიორი მეჰმეთ ფათი თურანი.

შეხვედრაზე ვისაუბრეთ ორ ქალაქს შორის ურთიერთობის გაღრმავებასა და ჯანდაცვის პროგრამების მნიშვნელობაზე, ასევე საკრებულოს ფუნქციებსა და თვითმმართველობის რეფორმებზე. სტუმრებს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის სპეციფიკა და ის მუნიციპალურ პროგრამები გავაცანი, რომელთაც თბილისის მერია ახორციელებს. თურქი მეგობრების ვიზიტის ფარგლებში, ასევე შევხვდით თბილისის მერის მოადგილეს ბატონ ანდრია ბასილაიას.

ზურაბ ჩიკვილაძე - ქალაქ თბილსიის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობის კომისიის წევრი

2023 წლის ნოემბრიდან დღემდე კომისიამ განიხილა და დახმარება გაუწია დაახლოებით 10224 ბენეფიციარს, რაზეც 13 188 705 ლარი გამოიყო, შემდეგი კლასიფიკაციით:

დაავადების კლასი	რაოდენობა	კომისიის გადაწყვეტილება (ლარი)
ინფექციური დაავადებები	43	20518
სიმსივნეები	2635	4 944 381
კეთილთვისებიანი სიმსივნეები	505	781 438
ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები	243	125 096
ფსიქიკური და ქცევითი აშლილოებები	617	507 344
ნერვული სისტემის დაავადებები	617	507 344
თვალის, მისი დანამატებისა და ყურის, დვრილისებრი მორჩის დაავადებები	436	264 737
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	1752	2 204 888
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	178	152 820
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	437	509 464

ძვალ - კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები	890	1 037 484
შარდ - სასქესო სისტემის დაავადებები	293	367 909
ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	2	1 478
თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	132	396 389
განვითარების ეტაპების დაყოვნება	393	255 454
დაზიანებები (ტრავმები, მოწამვლები)	126	164 153
ყველა სხვა დაავადება	925	947 808

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი წევრის ზურაბ ჩიკვილაძის და მისი წარმომადგენლობის საქმიანობა სამაჟორიტარო რაიონში

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-15[1] მუხლის შესაბამისად, მაჟორიტარი საკრებულოს წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით შეიქმნა წარმომადგენლობა. წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანებია:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზება;
- ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა.

წარმომადგელობა თავისი ამოცანების შესასრულებლად უზრუნველყოფს:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოქალაქეებთან შეხვედრების, მათ შორის, საჯარო შეხვედრების ორგანიზებას;
- მოქალაქეთა წერილების, საჩივრების, განცხადებების საქმის წარმოების ერთიან ელექტრონულ აღრიცხვას, შესწავლას;
- წარმომადგენლობაში შესული განცხადებების, წერილების ანალიზს და შესაბამის რეაგირებას;
- სათანადო დასკვნების, რეკომენდაციების ან/და წინადადებების მაჟორიტარი საკრებულოს წევრისთვის წარდგენას;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოებთან, კერძო/საჯარო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მედია საშუალებებთან ურთიერთობისას;

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას კანონის შესაბამისად ანგარიშის წარდგენაში;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის სამაჟორიტარო ოლქში არსებული პრობლემებისა და აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებაში ხელშეწყობას;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების /პრობლემების აღმოფხვრისა და გადაწყვეტისათვის მაჟორიტარის უფლებამოსილების ვადით შესაბამისი გეგმის შემუშავებაში ხელშეწყობას;
- წარმომადგენლობის საქმიანობისთვის საჭირო სხვა ფუნქციების განხორციელებას.

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და მისი წარმომადგენლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმშია. სამაჟორიტარო ტერიტორიაზე ვრცელდება ჩუღურეთის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ორი საუბნო განყოფილების საქმიანობა.

წარმომადგენლობა თანამშრომლობს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან, სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

მაჟორიტარი წევრის მიერ მოქალაქეთა მიღება ხდება ყოველი კვირის ოთხშაბათ დღეს.

სამაჟორიტარო ოლქში იდენტიფიცირებული საჭიროებები

მოქალაქეებთან შეხვედრების, წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, სამაჟორიტარო ოლქში გამოვლინდა საჭიროებები სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ:

ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მიმართულებით:

- ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამებით სარგებლობის საჭიროება;
- მედიკამენტების დაფინანსების საჭიროება;
- სხვადასხვა სახის სოციალური, მათ შორის მიზნობრივი ფულადი დახმარების საჭიროება;
- ბინის ქირით უზრუნველყოფის საჭიროება;
- უსახლკაროდ რეგისტრაციისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის საჭიროება;
- საახალწლო და საღდგომო ნობათების საჭიროება;
- ბინის დაკანონება/რეგისტრაციის საჭიროება.

ინფრასტრუქტურული მიმართულებით:

- გზების მშენებლობა;
- სანიაღვრე ქსელების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების გაუმართავი ფუნქციონირება;
- ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება.

ტრანსპორტის მიმართულებით:

- საგზაო მოძრაობის ორგანიზება.

ტერიტორიების გამწვანების და რეკრეაციის მიმართულებით:

- არსებული ბაღების და სკვერების კეთილმოწყობა;
- ახალგაზრდებისათვის შესაბამისი დასასვენებელი, გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო ადგილების შექმნა

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით:

- ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებში შეჭრილი მოსახლეობის ფართების დაკანონება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშემწყობი პროგრამებით სარგებლობის საჭიროება.

მოქალაქეებთან კომუნიკაცია

წარმომადგენლობაში ვიზიტზე იმყოფებოდა, ასევე სხვა ონლაინ და საკომუნიკაციო საშუალებებით კონსულტაცია გაეწია 300-მდე მოქალაქეს, შემოსულია 320 წერილი/განცხადება, რომელიც შუამდგომლობით გადაგზავნილია სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში. კერძოდ,

1. **ოპერაციის დაფინანსების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 2;.
2. **გამოკვლევის დაფინანსების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 2;
3. **მედიკამენტების დაფინანსების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 13;
4. **მიზნობრივი ფულადი დახმარების თაობაზე** შემოსული წერილების - 202;
5. **ბინის ქირით უზრუნველყოფის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 4;
6. **საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 12;
7. **ბინის დაკანონება/ფართის რეგისტრაციის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა -7;
8. **უსახლკაროდ რეგისტრაციისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 5;
9. **დასაქმების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა შეადგენს **- 1**;

10. **სხვა სახის შემოსული წერილების** რაოდენობა შეადგენს - 72.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნვუულყოფა

ჩემს წარმომადგენლობასთან ერთად ჩართული ვარ სამაჟორიტარო ოლქში არსებული ექვსი სოციალურად დაუცველთა სასადილოს ფუნქციონირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხთა მოგვარებაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მიზნით ჩვენგან პერიოდულად მზადდება შუამდგომლობები და ეგზავნება ჩუღურეთის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურს.

სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები

1237 სამედიცინო მომსახურების - მკურნალობის დაფინანსება, რომლიც შეადგენს 310 863 ლარს;

1788 ბენეფიციარის მედიკამენტების დაფინანსება, რომლიც შეადგენს 228 842 ლარს;

2097 ბენეფიციარს გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომელიც შეადგენს 3 855 180 ლარს;

179 ბენეფიციარის დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლიც შეადგენს 733 920 ლარს;

158 ბენეფიციარს გაეწია დახმარება სამშენებლო მასალებით, რომლიც შეადგენს 42 620 ლარს.

3100 ბენეფიციარზე გაიცა საახალწლო და სააღდგომო ნობათი, რომლიც შეადგენს 349 680 ლარს;

3600 ბენეფიციარზე უფასო სასადილოებით მომსახურება, რომლიც შეადგენს 2 062 440 ლარს;

12 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო დახმარება, რომლიც შეადგენს 4 200 ლარს;

2 ომის ვეტერანის დახმარება, რომლიც შეადგენს 1218 ლარს;

ინფრასტრუქტურა

ჩემი როგორც, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ქ. თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

მოწესრიგებული ქუჩების რაოდენობა შეადგენს - 52-ს.
ჯამური ღირებაა 3 217 105.22 ლარი,

13 ქუჩაზე, 25 671 კვ.მ. ფართობზე დაიგო ასფალტის საფარი, რომლის ღირებულება შეადგენს 2 162 991.17 ლარს;

8 მისამართზე, საცხოვრებელ ეზოში დაიგო ასფალტის საფარი 2005 კვ.მ-ზე, რომლის ღირებულება შეადგენს 92 646.52 ლარს;

9 ქუჩაზე, 604 კვ.მ. ფართობზე მოეწყო ქვაფენილი, რომლის ღირებულება შეადგენს 93 212.11 ლარს;

1 ქუჩა 1892 კვ.მ. ფართობი მოიხრეშა, რომლის ღირებულება შეადგენს 59 465.44 ლარს;

ასფალტის საფარის ორმოულად შეკეთების სამუშაოები ჩატარდა 21 ქუჩაზე, 12 462 კვ.მ. ფართობზე, რომლის ღირებულება შეადგენს 808 789.98 ლარს.

კეთილმოწყობის ღონისძიებები

ჯამური ღირებულება შეადგენს 5 478 217.30 ლარს.

6 მისამართზე განხორციელდა სანიაღვრე და წყალ-კანალიზაცის ქსელის შეკეთება, რომლის ღირებულება შეადგენს 123 862.92 ლარს;

მოეწყო 8 ახალი საჩრდილობელი, რომლის ღირებულება შეადგენს 47 254.83 ლარია;

მოეწყო 39 ახალი საპარკე სკამები და 14 ახალი ურნა, , რომლის ღირებულება შეადგენს 20 523.29 ლარს;

1 მისამართზე 1698 კვ.მ მოეწყო ახალი სკვერი რომლის ღირებულება შეადგენს 392 161.86 ლარს;

73 მისამართზე განხორციელდა არსებული სკვერების აღდგენა-რეაბილიტაცია, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 278 718.34 ლარს;

22 მისამართზე განხორციელდა არსებული სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 111 988.26 ლარს;

2 მისამართზე მოეწყო ახალი ფიტნეს ტრენაჟორი, რომლის ღირებულება შეადგენს 78 054.84 ლარს;

25 მისამართზე მოეწყო გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლები, რომლის ღირებულება შეადგენს 3 169 361.31 ლარს;

13 მისამართზე ავარიულ სახლებზე ჩატარდა წინმსწრებ-დამზღვევი და გამაგრებითი სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 421 920.91 ლარს;

5 მისამართზე განხორციელდა მოაჯირების კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 48 324.06 ლარს;

14 მისამართზე განხორციელდა დამცავი მოწყობილობების (მოძრაობის შემზღუდავი ბარიერი „ბოძკინტი“) მოწყობის სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 12 485.53 ლარს;

22 მისამართზე განხორციელდა მოაჯირების კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება სეადგენს 53 731.92 ლარს;

3 ეკლესიას გაეწია დახმარება, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 30 000 ლარს;

20 მისამართზე დაირგო 50 ძირი ხე-მცენარე, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 380 001 ლარს;

1029 ძირი ხე-მცენარის სხვლა-ფორმირება, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 295 732.56 ლარს;

95 მისამართზე განხორციელდა გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 62 419.73 ლარს.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა - სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული პროექტები

საერთო სარგებლობაში არსებული, ქალაქური ტიპის ეზოებსა და მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში განხორციელებული სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს 3 540 232.43 ლარს.

სამაჟორიტარო ტერიტორიაზე 1583 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაა დარეგისტრირებული. ამხანაგობების განვითარების და ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების ფარგლებში, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე განახორციელა სხვადსხვა პროექტები, მათ შორის როგორიცაა: სახურავის, წყალსაწრეტის, ლიფტის, შიდა წყალკანალიზაციის, სადარბაზოს, ნაპრალებისა და კიბეების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

4 მისამართზე ბრტყელი, რომლის ღირებულება შეადგენს 56 857.89 ლარს;

25 მისამართზე ქანობიანი სახურავი, რომლის ღირებულება შეადგენს 348 305.09 ლარს;

3 მისამართზე წყალსაწრეტი მილები, რომლის ღირებულება შეადგენს 5 067.54 ლარს;

10 მისამართზე განხორციელდა ლიფტის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 317 006.44 ლარს;

14 მისამართზე განხორციელდა წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 289 324.11 ლარს;

16 მისამართზე 4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგარებითი სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 2 256 476.85 ლარს;

5 მისამართზე განხორციელდა კაპიტალური გამაგრების პროექტების მომზადება, რომლის ღირებულება შეადგენს 49 914 ლარს;

18 მისამართზე საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურული სამუშაოები (კიბეები, ეზოს ჭიშკარი, აივანი, სადარბაზო და თაღი) რომლის ღირებულება შეადგენს 267 194.51 ლარს;

კულტურულ, სპორტულსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა

ჯამური ღირებულება 169 684 ლარი

2023 წლის , დეკემბერის თვეში ჩუღურეთის რაიონის საჯარო სკოლების წარმატებული მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების დაჯილდოება გაიმართა. 48 მოსწავლესა და 203 მასწავლებელს სიგელები და სასაჩუქრე ვაუჩერები გადაეცა. ღონისძიების ღირებულებამ შეადგინა - 48 970.00 ლარი;

2024 წლის მაისის თვეში, რაიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სურამში საგანმანათლებლო კვირეული ჩატარდა. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 50 ახალგაზრდამ. ღონისძიების ღირებულებამ შეადგინა - 26 625.00 ლარი.

დედის დღისა და ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ღონისძიება სახელწოდებით „გაზაფხულის დღესასწაულები“ გაიმართა. ღონისძიებაში ჩუღურეთის რაიონში მცხოვრები მრავალშვილიანი დედები და სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული 200 ქალი მონაწილეობდა. ღონისძიების ღირებულებამ შეადგინა - 48 000.00 ლარი.

ჩუღურეთის რაიონის საჯარო სკოლის 2023 - 2024 სასწავლო წლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი 92 მოსწავლის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა ღონისძიების ღირებულებამ შეადგინა - 31 029.00 ლარი

სექტემბრის თვეში ჩატარდა მინი ფეხბურთის ტურნირი „ჩუღურეთის თასი - 2024“ ღონისძიების ღირებულებამ შეადგინა - 15 060.00 ლარი.

განხორციელებული აქტივობები

2023 წლის 3 ნოემბერი

ჩუღურეთის რაიონში დიდი მუსიკოსის, ფოლკლორისტის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ქუჩის და სკვერის გახსნის ღონისძიებას საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, პარლამენტის წევრებთან, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან და საკრებულოს წევრებთან ერთად დავესწარი.

2023 წლის 9 ნოემბერი

ჩუღურეთის რაიონში, სამრეკლოს მე-2 შესახვევში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების პროცესი პარლამენტის დეპუტატთან რიმა ბერაძესთან, ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიათან ერთად დავათვალიერე დამოსახლეობას შევხვდით. აღნიშნულ მისამართზე არსებული მძიმე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირით მიმდინარეობს.

2023 წლის 14 ნოემბერი

ჩუღურეთის რაიონში, ყირიმის შესახვევის N5-სა და ფიროსმანის N42-ში მდებარე საცხოვრებელ სახლებზე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები პარლამენტის წევრთან რიმა ბერაძესთან, ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან ერთად დავათვალიერე.

ჩუღურეთის გამგეობის ჩართულობით, მყისიერად მოხდა რეაგირება და შესაბამისად, დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის ბოლო ეტაპი მიმდინარეობს, რომლის გაცნობის პროცესში ადგილობრივ მოსახლეობასაც შევხვდით.

2023 წლის 15 ნოემბერი

ჩუღურეთის რაიონში, დიღომბარის N16-ის მიმდებარედ, მწვავედ ავარიული ფერდობის გზის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაო პროცესს გავეცანი.

2023 წლის 4 დეკემბერი

ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბანში, კვარაცხელიას მე-2 შესახვევში 900 კვადრატულ მეტრზე, ასფალტის ორფენიანი საფარის დაგების მიმდინარე სამუშაოებს, ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან ერთად გავეცანი.

2023 წლის 6 დეკემბერი

ქალაქის მერთან კახა კალაძესთან ერთად 34 ოჯახი გავახარეთ. მათ ფართების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები გადაეცათ, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობენ და გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებდნენ დაკანონებას. აღნიშნულ ოჯახებს საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ერთ ლარად გადაეცათ.

2024 წლის 22 თებერვალი

ჩუღურეთის რაიონში დეკემბერში მოსული უხვი ნალექისა და ძლიერი ქარისგან დაზიანებული სახურავების აღდგენა-რეაბილიტაცია დასრულებულ პროექტს გავეცანი.

თბილისში მომხდარი სტიქიის დროს ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ცხელ ხაზზე 100-მდე შეტყობინება შემოვიდა. აქედან ყველაზე რთული მდგომარეობა იყო ცხრა მისამართზე, სადაც ძლიერმა ქარმა საცხოვრებელ სახლებს სახურავი გადახადა. ყველა მისამართზე რაიონის გამგეობამ აღდგენის სამუშაოები მყისიერად დაიწყო.

აღნიშნულ მისამართებზე სახურავების რეაბილიტაციისთვის გამგეობის ბიუჯეტიდან 291 000 ლარი გამოიყო.

2024 წლის 25 თებერვალი

ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ეზოში გამწვანების ღონისძიება.

2024 წელი 25 თებერვალი

ზურაბ ვადაჭკორიას სახელობის ქუჩის გახსნა.

2024 წლის 1 მარტი

წინამძღვრიშვილის N1-ში მდებარე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გავეცანი, რომელიც თბილისის განვითარების ფონდის, პროექტ „ახალი ტფილისის ფარგლებში“ განხორციელდა.

2024 წლის 6 მარტი

ჩუღურეთის რაიონში, სამურზაყანოს N17-ში მწვავედ ავარიული ფერდობის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოებს გავეცანი.

აღნიშნულ სამუშაოებს, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დაკვეთით, კონტრაქტორი კომპანია ასრულებს და მისი ღირებულება 85 000 ლარია.

2024 წლის 15 მარტი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ჩუღურეთის რაიონში, მარჯანიშვილის N29-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების პროცესს გავეცანი.

სამუშაოებს, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დაკვეთით, კონტრაქტორი

კომპანია ასრულებს და მისი ღირებულება 163 000 ლარია.

2024 წლის 23 მარტი

დედის დღისა და ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ილიას ბაღში ღონისძიებას სახელწოდებით „გაზაფხულისდღესასწაულებს" დავესწარი,

ღონისძიებაში ჩუღურეთის რაიონში მცხოვრები მრავალშვილიანი დედები და სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ქალები მონაწილეობდნენ.

2024 წლის 29 მარტი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში, ჩუღურეთის რაიონში, სოლომონ ქურდიანის პირველი შესახვევის N4ა-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების პროცესს გავეცანი.

სამუშაოებს, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დაკვეთით, კონტრაქტორი კომპანია ასრულებს და მისი ღირებულება 244 000 ლარია.

2024 წლის 6 აპრილი

ივერთ უბანში გავხსენით ორი სპორტული სივრცე.

2024 წლის 26 აპრილი

საგაზაფხულო რგვების ფარგლებში, ჩუღურეთის რაიონში, 20 მისამართზე 50 ძირი ხე-მცენარე დაირგო.

გამწვანების ღონისძიებაში მონაწილეობა მივიღე ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან, პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან გია ვოლსკისთან და პარლამენტის დეპუტატთან რიმა ბერაძესთან ერთად.

2024 წლის 13 მაისი

ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ინიციატივით, რაიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სურამში გამართულ საგანმანათლებლო კვირეულს დავესწარი.

2024 წლის 29 მაისი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ჩუღურეთის რაიონში, ლარეხის N3-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების პროცესს გავეცანი.

სამუშაოებს, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დაკვეთით, კონტრაქტორი კომპანია ასრულებს და მისი ღირებულება 140, 000 ლარია.



2024 წლის 31 მაისი

ჩუღურეთის რაიონში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩაზე 2000 კვადრატულ მეტრზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგო, პროექტის ფარგლებში, მოეწყო სანიაღვრე სისტემა და ბორდიურები, მიმდინარე სამუშაოების პროცესს ადგილზე გავეცანი.

სამუშაოებს, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დაკვეთით, კონტრაქტორი კომპანია ასრულებს და მისი ღირებულება 110 000 ლარია.



2024 წლის 5 ივნისი

გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ხუდადოვის ტყეში გამწვანებისა და დასუფთავების აქციაში მივიღე მონაწილეობა.

აქციის ფარგლებში თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის, შპს „თბილსერვის ჯგუფის" შპს „ეკოსერვის ჯგუფისა" და ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თანამშრომლებმა ტერიტორიაზე 150 ძირი სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარე დარგეს, ასევე, ტერიტორია გაიწმინდა სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან.

2024 წლის 7 ივნისი

ჩუღურეთის რაიონში, მნათობის N39-ში, გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაო პროცესს გავეცანი. 266 კვადრატული მეტრის მოცულობის კედელი საფრთხის შემცველი ფერდობის ჩამოშლის პრევენციის მიზნით ეწყობა.



2024 წლის 7 ივნისი

ვიზიტი 69-ე ბაგა-ბაღიში.

2024 წლის 14 ივნისი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის N29-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების პროცესს გავეცანი.

2024 წლის 25 ივნისი

ჩუღურეთის რაიონში, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში, წინამძღვრიშვილის ქ. N106-ში, თბილისური ტიპის ეზოში საერთო სარგებლობის აივნის მოწყობის პროცესს ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან, პარლამენტის დეპუტატთან რიმა ბერაძესთან და მოსახლეობასთან ერთად გავეცანი.

2024 წლის 30 ივლისი

ჩუღურეთის რაიონში, დოლიძის N 5 ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების პროცესს გავეცანი.

2024 წლის 2 აგვისტო

ჩუღურეთის რაიონში, 23-ე საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გავეცანი

23-ე საჯარო სკოლა თავისი ისტორიითა და წარმატებით გამორჩეულია დედაქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. მისივე თქმით, სასიხარულოა, რომ ისტორიულ შენობაში მასშტაბური რეაბილიტაცია მიმდინარეობს. განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, კახაბერ ლაბუჩიძის, განცხადებით, სკოლის რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტების სრული დაცვით მიმდინარეობს.

რეაბილიტაციის ფარგლებში მოეწყობა საგანმანათლებლო სივრცეები, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, სასადილო და სააქტო დარბაზი. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს აგრეთვე რეკრეაციულ და სპორტულ სივრცეებში.

2024 წლის 6 აგვისტო

დასრულდა უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელიც, დედაქალაქის მერის მოადგილესთან კახა გულედანთან, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან კახა აბულაძესთან, პარლამენტის წევრთან რიმა ბერაძესთან, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარესთან კახაბერ ლაბუჩიძესთან და ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან ერთად მოვინახულე.



2024 წლის 8 აგვისტო

ჩუღურეთის რაიონში, ხონის ქუჩის N38-ში, გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაო პროცესს გავეცანი.

2024 წლის 13 აგვისტო

ჩუღურეთის რაიონში, მნათობის ქ. N30-ში, გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაო პროცესს გავეცანი.



2024 წლის 21 აგვისტო

ჩუღურეთის რაიონში, ჩეჩელაშვილის ქ. N47ბ ,N49 და N68ა -ში, გრუნტის დამჭერი კედლების მოწყობის სამუშაო პროცესს გავეცანი.



2024 წლის 26 აგვისტო

ჩუღურეთის რაიონში, ნინოშვილის ქუჩა N 70-ში მდებარე 150 წლის წინ აშენებული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაო პროცესს გავეცანი.



2024 წლის 30 აგვისტო

ჩუღურეთის რაიონში, აღმაშენებლის N120-ში, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში, თბილისური ტიპის ეზოში წყალარინების ქსელის მოწყობის პროცესს გავეცანი.

2024 წელი 12 სექტემბერი

შეხვედრა ჩუღურეთელებთან.

2024 წელი 16 სეტემბერი

ჩუღურეთის რაიონიში მდებარე 36-ე სკოლაში ვიმყოფებოდი და პატარებს სასწავლო წლის დაწყება მივულოცე.

2024 წლის 17 სექტემბერი

ჩუღურეთის რაიონში, ბაგრატიონის ქ. N89-ის მიმდებარედ ,105 კვადრატული მეტრის მოცულობის კედელის საფრთხის შემცველი ფერდობის ჩამოშლის პრევენციის მიზნით მოწყობის სამუშაო პროცესს გავეცანი.

2024 წლის 18 სექტემბერი

ჩუღურეთის რაიონში, მნათობის ქ. N2-4 ში, გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაო პროცესს პარლამენტის დეპუტატ რიმა ბერაძესთან და ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან ერთად გავეცანი.

105 კვადრატული მეტრის მოცულობის კედელი ფერდობის ჩამოშლის პრევენციის მიზნით ეწყობა.

მოსახლეობასთან შეხვედრა აჭარის ქუჩა N10-ში.

2024 წლის 18 სექტემბერი

ჩუღურეთის რაიონში მდებარე N2 ბაგა-ბაღის რეაბილიტირებულ შენობას დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან, პარლამენტის წევრ რიმა ბერაძესთან, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარესთან, კახა ლაბუჩიძესთან და საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან კახა აბულაძესთან ერთად ვესტუმრე.
აღსანიშნავია, რომ N2 საბავშვო ბაღის შენობის ერთი ნაწილი ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლია, ის მე-19 საუკუნეში არის აშენებული, რეაბილიტაციის შემდეგ მისი პირვანდელი სახე შენარჩუნდა. შენობას ასევე ჰქონდა მეორე ფლიგელი, რომლის დემონტაჟიც განხორციელდა და მის ნაცვლად აშენდა სრულიად ახალი კორპუსი.ბაგა-ბაღი ადაპტირებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დამონტაჟებულია ელექტროპანდუსი და ლიფტები შშმ პირთათვის, გარდა ამისა, იგი სრულად აკმაყოფილებს ბავშვთა უსაფრთხოების კუთხით არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს. საბავშვო ბაღი ათ ჯგუფიანია და 290-მდე აღსაზრდელზეა გათვლილი. პროექტის ღირებულება 4 070 000 ლარია.

2024 წლის 23 სექტემბერი

შეხვედრა ჩუღურეთის მოსახლეობასთან ზ.ჭავჭავაძის11/102.

2024 წლის 24 სექტემბერი

შეხვედრა ჩუღურეთის მოსახლეობასთან ბაქოს ქუჩა 1



2024 წლის 26 სექტემბერი

შეხვედრა ჩუღურეთის მოსახლეობასთან გორკის ქუჩა.

2024 წლის 27 სექტემბერი

შიდა რაიონული ჩემპიონატი მინი ფეხბურთში 2024.

ჩუღურეთის რაიონში, გროზნოს ქუჩაზე მდებარე სკვერში არსებულ სპორტულ მოედანზე მინი ფეხბურთის შიდა რაიონული ტურნირის ფინალი გაიმართა.

2024 წლის 29 სექტემბერი

შეხვედრა ჩუღურეთის მოსახლეობასთან.

2024 წლის 3 ოქტომბერი

შეხვედრა დავით აღმაშენებლის 117-ის და ეკატერინე ჭავჭავაძის ქუჩის მოსახლეობასთან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა და დავესწარი 14 სხდომას. მიღებული იქნა 675 განკარგულება და 113 დადგენილება.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ ჩატარებულ, 12 სხდომას დავესწარი და შევისწავლე 19 საკითხი.

1. **17.11.2023; დღის წესრიგი:**
   1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა **(წერილი:12-032331753-03; 13.11.2023);**
   2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **(წერილი: №12-03233211-03; 17.11.2023).**

2. **13.12.2023; დღის წესრიგი:**
   1. სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა **(წერილი: 12-032334259-03; 08.12.2023).**

3. **22.01.2024; დღის წესრიგი:**
   1. ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ 2023 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

4. **19.02.2024; დღის წესრიგი:**
   1. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილები: №19/032403222-03, 19/032403219-03; 01.02.2024)** მიხეილ ქორიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

2. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილები: №19/0324040134-03, 19/0324040140-03; 09.02.2024)** ლევან კბილაშვილის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ **(წერილი: 12-032404613-03; 15.12.2023).**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა” (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (წერილი: 12-032404789-03; 16.02.2024).

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **(წერილი: 12-032404793-03; 16.02.2024).**

5. 22.03.2024; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (წერილის №12-032405999-03; 28.02.2024) განხილვა.

6. 29.03.2024; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ **(წერილის №12-032408771-03; 27.03.2024)** განხილვა.

7. 23.04.2024; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **(წერილის№12-032408818-03, 28.03.2024)** განხილვა.

2. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის დევი აბაშიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (წერილი: **№19/032411330-03; 22.04.2024)** განხილვა.

8. 24.05.2024; დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი: 2024 წლის I - ლი კვარტალი).

9. 14.06.2024; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **(წერილი:12-03241501-03; 29.05.2024).**

10. 12.07.2024; დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ **(წერილის №12-032419312-03; 11.07.2024)** განხილვა.

11. 16.08.2024; დღის წესრიგი:

1. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილი: *№*19/032422817-03; 15.08.2024)** ბერი გაბრიელ აღმსარებლის (ურგებაძე) მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

2. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილი: *№*19/032422161-03; 08.08.2024)** რეზო ამაშუკელის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

12. 16.09.2024; დღის წესრიგი:

1. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილი:*№04-032425426-03*; 10.09.2024)** ერვანდ ქოჩარის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი

საანგარიშო პერიოდში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიურლი საქართველოს“ მიერ 19 სხდომა ჩატარდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობა - 43, დავესწარი 14 სხდომას და განვიხილე 41 საკითხი.